

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

თვე	სან. კ.	თვე	მან. კ.
12.	10 —	6 . . .	6 —
11.	9 50	5 . . .	5 50
10.	8 75	4 . . .	4 75
9.	8 —	3 . . .	3 50
8.	7 25	2 . . .	2 75
7.	6 50	1 . . .	1 50

ი ვ ე რ ი ა

რედაქცია **ივანეშვილი**
 ნიკოლოზის ქუჩა **მუსხიშვილი**
 ტფილისი.
 გაზეთის დასაბარებლად
 და განცხადებთა დასაბეჭდად
 უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
 გამაერც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივანის“ ტელეფონი № 227.

„ივანის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

სუთშაბათს, 8 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა.

I

მსხვერპლისათვის მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, თხზ. დიმიტრი, თარგ. ა. ცაგარლისა.

II

სუსტი მხარე

კომ. 1 მოქმედებად, თარგ. დ. მესხისა.

მანაწილეობას იღებენ: ქენი გარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გივიშვილი და სხვ. ბენი: კუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანიძე, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მემდევნი წარმოდგენა კვირას, 11 ნოემბ.; მზადდება „ტარტიუფი“, კომ. 5 მოქმ. მოლიერისა. (2—უ.—1)

იყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მალაზიასა და „ივანის“ რედაქციაში

„სომხთა მკვნიპრნი“

და

ქვანთა ლაღაღი

წერილი ილია ქავჭავაძისა, **მომრად** გამოცემული „ივანის“ რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა. ეს გამოცემა ძვირფასს ქალაღღზე დაბეჭდილი. ჰლირს წიგნი ექვს შაურად.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

ქუთაისში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავთამყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.

სადრატაქრო, ვენერული (სიფილი-სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ.

სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გიქლიშვილი. 12—1 საათ.

კურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ვ. ძაბავაძე. 1—1/2 ს.

შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამლობით:

გ. ნ. როსტომიანი. 5—6 ს.

საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპკოვსკი. 6—7 ს.

ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერული ავადმყოფობათა.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გელაშვილი.

ქუთაისი, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავთანდილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ბ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულბანი, 8—10 საათ.

მიხეილ გელაშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

მ. გ. ფაღოლოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგანი; საშარდით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

გ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. ვ. ახალაშვილი—კბილის სნეულბანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი გ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გელაშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დღითა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინოვი—ხირურგიული (სადრატაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბავთაბაშვილი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1/2—2 ს.

სალამობით:

ი. ნ. თუშანიშვილი—დღითა სნეულბანი. 5—6 საათ.

ქვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგანი ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

გ ა ზ ე თ ი

მიხეილ გელაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

ახალი ამბავი

* * დღეს, 7 ნოემბერს, კავკასიის გამოყენების გამგე კომიტეტს სხდომა ექმნება, რომელზედაც უნდა გარდასწყდეს—სასურველია თუ არა, რომ გამოყენება მომავლის წლის ზაფხულისათვის, მაისიდან სექტემბრის გასვლამდე, ისევ გაიხსნას.

* * კავკასიის უმაღლეს მთავრობას უკვე დაუმტკიცებია პროექტი დებულებისა, რომლითაც ტფილისში მეფოვეთა ინსტიტუტი უნდა იქმნეს დაწესებული.

* * სახელმწიფო საბჭოში ლაპარაკი აღუძრავთ მებაღეობის განსაკარგებლად მებაღეობის ინსტიტუტებისა და ტენიკოსების ინსტიტუტი იქმნეს დაწესებული, სადაც მსურველნი ყველაფერს პრაქტიკულად შეისწავლიან.

* * მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს, მეურნეობის ზოგიერთა დარგი, რომელიც ახლა სამინისტროს გამგეობის ქვეშ იმყოფება, გაუმჯობესებელ იქმნეს.

* * ლაპარაკია თურმე აღძრული საპოლიტენიკო ინსტიტუტებისა და საკომერციო სასწავლებლებში უცხო ენების შესწავლის საქმე უკეთ როგორმე მოაწყონ.

* * კავკასიის მთავარ-მართველს თავ. გოლიცინს მოსკოვის სიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილების საპატიო წევრის წოდების მიღებაზედ თანხმობა განუცხადებია.

* * 3 იანვრიდან (1902 წელს) 12-მდე პეტერბურგში სრულად რუსეთის ბეთალთა კრება დანიშნული. კრებაზედ მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ აგრეთვე მკურნალ-მედიკებსა და ბუნების მეტყველებს.

* * მომავლის წლისათვის წერილი სესხისათვის მიწად-მოქმედების სამინისტროს 1,000,000 მან. კრედიტი გამოუთხოვნია, რადგანაც ამ წელს 135,000 მან. კრედიტზედ ღფულობისა გამო უარი უთქვამს.

* * როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან და ჩვენც გვქონდა თავის დროზედ მოხსენებული, 1902 წლიდან სამხედრო საიმპერატორო სამკურნალო აკადემიაში გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულთა გარდა მიიღებენ აგრეთვე რეალურ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთაც, რომელთაც მხოლოდ ლათინურ ენის ცოდნაში გამოსციდიან (გიმნაზიის 4 კლასის კურსიდან). მსურველთ შეუძლიანთ ეს გამოცდა ერთის წლით გა-

დასდონ, ე. ი. პირველის წლის განმომავლობაში ჩააბარონ, მაგრამ თუ ამ ვადას გადაცილეს, მაშინ-კი უფლებას ჰქარგავენ და სრულიად დათხოვნილნი იქმნებიან.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ დაავალა სახალხო მატარებლების რევიზორებს, დაწერილებითი ცნობები შეატყობინონ ხოლმე იმ მგზავრთა შესახებ, რომელთაც გზაზედ უბილეთოდ მგზავრობისათვის დაიჭერენ. რევიზორებმა უნდა აცნობონ, მაგ., საიდან მოდის მგზავრი, რამ აიძულა უბილეთოდ წასვლა და სხვა. ცნობები უნდა მიაწოდონ გამგეობას რევიზორებმა იმ კონდუქტორების შესახებაც, რომელნიც უბილეთოდ ვისმე წაიყვანენ.

* * სასამართლოს მატიანეში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ოლქის სასამართლომ ბოქაულის მეულეს ელისაბედ ჟურჯულს მოსამსახურე გოგოს ცუდად მოპყრობისა და თავის გატეხისათვის გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ტობოლის გუბერნიაში გარდასახლება. ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა ეს საქმე განიხილა 3 ნოემბერს და უდანაშაულოდ იცნო ჟურჯულისა.

* * ციციშვილის კლდის შესამაგრებლად შედგენილ სატენიკო პროექტს ქალაქის გამგეობა კომისიისთან ერთად განიხილავს ხვალ, 8 ნოემბერს.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის განკარგულებით, განსაკუთრებული ბილეთები მიეცემათ იმ მუშებს, რომელნიც მოუსაგლოებით დაზარალებულ ადგილებიდან სამუშაოდ მიემგზავრებიან. თუ საკმაო არ იქნება მატარებლების მეოთხე კლასი, იმათვის უნდა მოუბან ხოლმე მუშა ვაგონებიც.

* * გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი ამას წინადად განკარგულება ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისა იმის შესახებ, რომ სამსახურში რკინის გზაზე მიიღებიან ისეთნი, რომელთაც შეეძლებათ მატარებლების მოძრაობის საქმესა და რკინის გზის ტენიკურს ცოდნაში ეგზამენის დაჭერა. ამ განკარგულების მიხედვით ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში გამოუცდიანთ სამსახურში მყოფნი რკინის გზის მოხელენი, რომელთაგან ეგზამენი 44 კაცს დაუჭერია. ამათს, რიცხვში 12 ქართველი ურგეია.

* * კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს უგანათ. თავ. ვ. ა.

გრუზინის წერილი მოუვიდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის საბჭოსადგან, რომელიც სამეურნეო საზოგადოებას ულოცავს კავკასიის მცხოვრებთა სასარგებლოდ ორმოცდაათის წლის მოღვაწეობის შესრულებას და უსურვებს უფრო კიდევ ნაყოფიერად მოქმედებას სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში.

* * პოლიციის მე-10 ნაწილში ერთმა ტფილისელმა ვაჭარმა გვარად კანდუროვმა გამართა მექანიკური პურის საცხობი. ამ საცხობის მოწყობა 80,000 მან. დასჯდომია. პურის საცხობში დღე-ღამეში 500 ფუტის პურის გამოცხობას ასწროებენ. კანდუროვმა ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა, ნება მომეცით ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში პურის სავაჭრო დუქნები გაეხსნათ. კანდუროვს მიუშარიან აგრეთვე ზოგიერთ სასწავლებლებსა ვის დაუთხოვნიან, პური ჩვენგან ივაჭრეთო.

ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 5 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს სხდომას დაესწრა 31 ხმოსანი. პირველად საბჭოს განსახილველად წარედგინა აისორთა ეკკლესიის მღვდლის მ. გურგენიძის განცხადება, რომ მისს ეკკლესიაზედ დარჩენილი წყლის გარდასახადი 75 მან. ევატიოს. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის გარდაწყვეტილება, რომლითაც აღნიშნული 75 მან. წყლის ფული ევატიო აისორთა ეკკლესიას.

ახალ ამბად უკვე გვქონდა თავის დროზედ აღნიშნული, რომ ჰამბურგის ზოლოდოვი ბაღის გამგემ ბ-ნმა მირკემა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას მიეცა მისთვის 30 წლით 1200 ოთხკ. საფ. მიწა, რომელზედაც ზოლოდოვი ბაღი უნდა გაემართა. მირკემა ქალაქისაგან ერთ ხანად შემწვობად ითხოვდა 10,000 მან. და ყოველწლივით 2,000 მან., ხოლო საკონცესიო ვადის შემდეგ სასყიდვით მოწყობილი ბაღი ქალაქის საკუთრებად უნდა გამხდარიყო. ქალაქის გამგეობას განუხილავს ეს საგანი და დაუდგენია, უარი გამოეცხადოს მირკემას, რადგანაც ქალაქის ზოლოდოვი ბაღისათვის თავისუფალი ადგილი არა აქვს. მკირენის კამათის შემდეგ საბჭომ მილო შეუცვლელად გამგეობის გარდაწყვეტილება.

ამის შემდეგ მოურავის მოადგილემ წაიკითხა ქალაქის მიწის მზომლის თანაშემწის დ. ა. ნაცვლიშვილის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ, რადგანაც მძიმედ ავად არის და სარჩენი ჰყავს მოხუცად და და სხვ., ხოლო საღსარი-კი არა აქვს, შემწვობა აღმოეჩინოს. გამგეობას შესაძლებლად უკენია 200 მან. შემწვობის აღმოჩენა, რაზედაც საბჭოს საფინანსო კომისიაც დასთანხმებია. საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის დადგენილება ამ საგნის შესახებ. შემდეგ საბჭომ უარ-ჰყო შუამდგომლობა ქალაქის მოედნის სასწორის ს. ბუდალოვისა, რომელსაც უთხოვნიან—საიჯარო სასწორიდან დღეში

9 მან. ზარალი მაქვს და ხელშეკრულება გავაუქმეთ და ამ ზარალისაგან დამიხსენითო.

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა დადგენილება ტფილისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსი ქალაქის ქუჩებიდან ტალიხისა და ნაგვის გასაზიდ რაზმის შესადგენად მცხოვრებლებზედ ფულის გაწერის შესახებ, რაიცა დაწვრილებით უკვე გვქონდა თავის დროზედ აღნიშნული. ქალაქის საბჭომ ამას წინადაც გარდასწყვიტა იშუამდგომლოს კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე ნება დაერთოს გამგეობას ქალაქის მცხოვრებლებს იმდენი ფული გააწეროს, რაქდენიც ნაგვის გასაზიდ ურემების მოსაწყობად საკმაო იქნება. რადგანაც კანონით ასეთი ხარჯის გაწერა, თუ მცხოვრებლების თანხმობაც არ იქნება, არ შეიძლება, ამიტომ ადგილობრივი მთავრობა წინადადებას აძიევს საბჭოს ეს შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე აღსძრას, რომ ამ ხარჯის გაწერა მცხოვრებლებზედ დაკანონებულ იქნეს. საბჭომ მიიღო ეს დადგენილება და დაავალა გამგეობას უმაღლესს მთავრობას შუამდგომლობა გაუზავნოს. მკითხველებს ესომებათ. რომ ამას წინადაც სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა ელიაშვილმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას 1,500 მან. ყოველწლივით და ამ წლისათვის ერთ ხანად 500 მან., რომ სიონში სამუდამო მგალობელთა გუნდი იყოლიონ. გამგეობას გარდაუწყვეტია მხოლოდ 500 მან. მიეცეს სიონის ტაძარს ყოველწლივით, რაიცა 1902 წლიდან იქმნება შესრულებული. ხმოსნებიდან ზოგმა სულ უარის თქმის სურვილი განაცხადა, ზოგმა-კი საქიროდ იცნო 1,500 მან. მიეცეს წლიურად. კენჭის ყრით, 21 ხმით წინააღმდეგ 9 ხმისა, საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება მგალობელთა გუნდისათვის ყოველწლივ 500 მან. გადადებისა. ზოგიერთა წვრილმან საქმეების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დამის 10 1/2 საათზედ დასრულდა.

„კვალის“ მე-42 №-ში დაბეჭდილ ბ-ნის 40-ძის წერილისა ბამო.

ვინც-კი ჩვენს სოფლურს ცხოვრებას დაჰკვირვებია, როდისმე პრაქტიკული მონაწილეობა მიუღია მისს საქმეებში და ცოტად თუ ბევრად მიუდგომელი მსჯელობა შესწევს, ყველა უთუოდ დაგვეთანხმება, რომ სოფლის მასწავლებელი დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაშია მისის თანამდებობისა და შრომის სხვა-და-სხვა შეუსაბამო ცუდის პირობებით. ყველამ ვიცით, თუ რამდენად დაქვეითებულია ეკონომიურად უმეტესი ნაწილი ჩვენის სოფლებისა, ამასთან ისიც ვიცით, თუ რამდენი კანონიერი და უკანონო ჰირ-ვარამია, რომელიც სოფლისაგან ნივთიერს დაკმაყოფილებასა თხოულობს, სოფელს აწვეს თავზედ. სხვათა შორის ერთი ამ გვარი საგანია სკოლა და მასწავლებელი. ეს უკანასკნელი რომ მისთვის სასარგებლონი არიან, ეს დიდი ხანია იცის გლეხმა, მაგ-

რამ ისიც იცის, რამდენი ხარჯი და მოთხოვნილება ემატება იმათ გამო. წარმოუდგენელია მართლაც, რამდენი თხოვნა, რჩევა და მუქარაც-კი სჭირდება ხოლმე მასწავლებელს, რომ შევირდებმა სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები დროზედ შეიძინონ. ამას დაუმატეთ ახლა შემის ფული, რომელიც (უფრო ხშირად, თუ სხვაგან არა, გუროში მინც) ბავშვებს აწვეთ მოსატანად; აქაც მასწავლებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოჭაულობს. ესლა წარმოიდგინეთ თავშეპრილ სოფლის წინაშე დადრეჯილი მასწავლებელი, რომელიც სკოლის ამა თუ იმ ნაკლებულევაებათა შევსებასა თხოულობს, თუნდაც ვსთქვათ, შევირდების სამეცადინო მაგიდებსა, და მისგან აქავე გამოვლილი უსიამოვნება! ამასთან წარმოიდგინეთ, რომ ხალხს ჰგონია ვითომც ყოველს ზემოდ ნათქვამს მასწავლებელი მეტს თხოულობდეს და იმასაც თავისთვის, და დარწმუნდებით, რომ მძიმეა უღელი მასწავლებლისა. ასეთი მასწავლებელ-მეხარკე-ზოქაული როგორ უნდა უყვარდეს ამა სოფელს, რომელსაც ის ვითომ სულს აძრობს, მოსვენებას არ აძლევს!

ამ გარემოებაში-კი ხშირად მასწავლებლები იანგრის დამეგება() ათენებენ ხოლმე უცეცხლოდ.

არ შემიძლიან აქვე არ შევიშინო შემდეგი: ჩვენს სკოლებს მზრუნველებიც ენიშნებათ, მაგრამ იმათ არ იციან თავიანთი უფლება და ყოველს კანონიერს მოთხოვნილებას ყრილობას ურდვენენ გასარჩევად, რაც ძრიელ ართულებს და აგვიანებს საქმეს. ამაში მთავრობაც უნდა იღებდეს უთუოდ მონაწილეობას, რომ მზრუნველებს თავისი და ალაგი უჩვენონ თავიანთის პირდაპირ მოვალეობისა. არც ისე ცოტა ესლა სასწავლებლები და აგრეთვე მზრუნველები, რომ მათთვის თავისის მოვალეობის აღსრულების ცოდნა საქირო არ იყოს. ეჭვი არ არის, არა კმარა მარტო ოდენ ის დიდმნიშვნელოვანი წოდება, რომელსაც იგინი ასე უქმად ატარებენ. ამასთანავე სოფლისა და მისს მასწავლებელთა შორის სიყვარულს ხელს უშლის მათის მიმართულების ორნაირობაც: რომ გლეხს უყვარდეს, რამოდენადმე კიდევ უნდა ჰგვანდეს მას, ესე იგი, ხანჯალი, „მაყარი“, „ტოლუმბაში“, ცრუმორწმუნეობა და სხ. გიყვარდეს და გწამდეს... მე, თქვენი უმორჩილესი მონაც, „ამაბრძანეს“ ერთხელ სუფრიდგან, როდესაც ოცი ჰქონდა ერთბაზად ვერ გაიხელით.

ხშირად მასწავლებელი სოფელში იწყებს რამე საზოგადო საქმეს. ეს ყველაფერ ვიცით, საზოგადო საქმესაც მაშინვე, როგორც მომხრე, ისე წინააღმდეგნიც აღმოუჩნდებიან ხოლმე და ეს უკანასკნელნი ვერასოდეს ვერ დარჩებიან კმაყოფილნი მასწავლებლისა; ერთი სიტყვით, საზოგადოება ხშირად შეიძლება შესცდეს მასწავლებლის ცნობაში; ამისათვის რიგაანს მასწავლებელს ხალხის ქება მისის სიკარგის თავდებად არ უნდა მიანდეს და არც პირიქით... არ მინდა მიგუთითო, თორემ ამისი ფაქტიც მოიპოვება.

მასწავლებლის საზოგადო საქმეს

შეადგენს სკოლის გაფართოვება, სამკითხველო, ბანკი და სხვანი, მაგრამ ეს ყველა გლეხისაგან ფულს თხოულობს და დღესვე ნაყოფს-კი ვერა ჰხდევს; ამნაირი საქმეები წლებისა და ათის წლების საქმეა და რადგანაც ჩვენი გლეხი ამდენს სულგრძელობას დაჩვეული არ არის, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ზურგს შემოგაგცველ ასეთის საქმის დაწყებისათვის და ეჭვის თვალთაც შემოგხედავთ! მე ჩემი ყურით მომისმენია ასეთი აზრი: „რაიზა იშრომებს, ძამიავ, ამდენს, სამკითხველოს რაცხას რომ არა ჩნებოდესო“.

ესლა ავიღოთ ავით შრომა, რომელიც რიგაანს მასწავლებელს სავალდებულოდა აქვს გახდილი: დილის რვა საათიდან ნაშუადღევს ორ საათამდის სამ განყოფილებასთან მეცადინეობა, ექვსი შვიდი საათის განმავლობაში მტერის ყლაპვის შემდეგ სამოცოთხმოცი რვეულის გასწორება; და ასე და ამნაირად თენება და ღამება მთელის სიცოცხლისა... ვიცი ერთი მასწავლებელი, რომელსაც უზომოდ ბევრი რვეულების სწორებამ ცხვირში სისხლის დენა აუტება და არც ვიცი, რით გათავდება. თვითონ მე მასწავლებლობაში 1896 წლს უბუხრო სახლში მომიხდა ცხოვრება; რამაც ჩემს ჯანმრთელობაზედ მეტად ცუდი გავლენა იქონია და ამის მიზეზით ექვსი თვე საავადმყოფოში ვიწექი და ექვსიც სახლში; შემწვობა-კი კაპიციასაც არსაიდგან არ მინახავს.

მართლაც და შენიშნული მაქვს, რომ მასწავლებელი, თუ-კი თავისი მოვალეობა და თანამდებობა შეუზენია, უკვე შეჭრივებია იმ აზრს, რომ უცოლ-შვილოდ უნდა იცხოვროს, რადგანაც, ამ უზომო და უმადლო შრომით წელ-მოწყვეტილს სამსახური და ნივთიერი სიღატაკე ნებას არასოდეს არ მისცემენ იყოს რიგაანი ქმარი და მამა ოჯახისა... ასეთთა ჩვენი შრომა და დაფასება ამ შრომისა ჩვენში!..

ბ-ნი 40-ძე-კი „კვალის“ მე-42 ნომერში მკითხველებს ეხლანდელ მასწავლებელთა პროგრამას აი, როგორ უხატავს: „ყველაფერში მასწავლებელი არის დანაშაული, იგინი გაამპარტავდენენ ჩინ-ეპოლეტებ-კაკარდებით და ჟურნალ-გაზეთების ქებით; ლოთობა, ქეიფი, კარტი, ნარდი, ცეკვა-თამაში, ლაზლანდარობა, სოფლიდან სოფლად ხეტიალი და სხვანი,—ამობს ბ-ნი 40 ძე,—არის ეხლანდელ მასწავლებელთა მოღვაწეობა“.

ეჭვი არ არის, რიგაანი კაცი საერთოდ ამებს მასწავლებლებზედ-კი არა, მიკიტანზედაც არ იტყვის. მაგრამ ეს რა? ისე გადაუღმაშებია ბ-ნს 40-ძე, რომ ჩინი და ეპოლეტები-კი მიაკრა სოფლის მასწავლებელს (გვონებთ პენსიითა-კი უზრუნველ-გვეყოს ამ დალოცვილი-შვილმა!) მაშინ, როდესაც მასწავლებელი კაკარდასაც იშვიათად ატარებს... მანდილოსნებისათვის გამართული „უჩენია“ ზღაპრად გვეჩვენება და თუ ფაქტია, ჩვენ და საუბედუროდ, ბ-ნს 40-ძეს მეტი მამობა უნდა გამოეჩინა სოფლისათვის და მისი დაცვა ასეთ ცრუმასწავლებლისაგან უფრო აშკარად უნდა გამოეჩინა, თორემ იქ, სადაც

ასეთი სიბნელე დაჩვეულია, ზოგადო ლალაქნა ვერცხვს-კი დადბა, „მზარეულისა და კატისა“ არ იყოს.

საყურადღებოა ვიცოდეთ, ბ-ნის 40-ძის აზრით, ვისი მიზეზით არის თუ ცოტადნად მინც არის პროგრესის გზას ადგას სოფელი? თუ სადმე სამკითხველო ჰბუჭუტავს, ამ ბანკისა და სხვა ამ გვარ დაწყებულიების დაარსება გვეუწრება, ვინ უნდა იყოს ამისი მიზეზი? თუ სასწავლებელნი ფართოვდებიან არსდებიან, უმეტესს შემთხვევაში ვისი ინიციატივითა და თავ-გამოდებითა ხდება ეს? ამ კითხვებზედ თვითონ ბ-ნმა 40-ძემვე მოგვცევ მიუდგომელი პასუხი, თუ წინადაც გამოთქმული აზრი ნებას მისცემს მართალი აღიაროს.

მკითხველი ძვირად თუ წარმოიდგენს, რომ ჩემი და ბ-ნის 40-ძის მასწავლებლები ერთისა და იმავე პლანეტის-დედამიწის — მასწავლებლები იყვენენ! მაგრამ ეს თქვენვე გამოიცანით, მკითხველნო, რომელი იმათგანი უფრო ჰგავს თქვენს ნაცნობს მასწავლებელს!..

დასასრულ, ვეთანხმები ბ-ნს 40-ძეს, რომ „ჩინოვნიკებს“ მასწავლებელთა და სოფელს შუა და მოკიდებულობაზედ არავითარი გავლენა არა აქვთ თითქმის, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ხალხი ნებას არ მისცემს არავის მისს საყვარელი მასწავლებელი შეურაცხ-ჰყოს; ეს ისე მოხდება ხოლმე, რომ სოფელი ვერც კი იტყობს და რომ შეიტყოს კიდევაც,—რას იზამს თუ გლეხს ყველა ერევა ამ ჩვენს ბეჩავს დროში. ამასთანავე, რამდენად ვიცი, ეხლანდელი მასწავლებლები გონებით უფრო მადლსდგანან, ვიდრე ათი თხოთხმეტო წლის წინედ და თუ ყველა ისინი ციდან მოვლენილნი ანგელოსნარ არ არიან, ამისი მიზეზი უფრო შორს უნდა მოვნახოთ.

დაბატ სოფელი

სოფ. მიქელ-გაბრიელი (გურია). მოსავალი სოფ. მიქელ-გაბრიელში სხვა წლებთან შედარებით წელს, როგორც მოველოდით ძალიან ნაკლები იყო. ადვისს ღვინომ ხომ სულ თავი დავვიკრა.

თქვენი მტერი შეაწუხოს ღმერთმა ისე, როგორც ჩვენ უგზობა გვაწუხებს, მაგრამ არ იქნა და არა ხერიანს გზას ვერ ვეღირსენით და უთუოდ ვერც ვეღირსებით. ვგონებ ისე წერილი არ დასტამბულა სოფ. მიქელ-გაბრიელიდან ქართულს გაზეტებში, რომ უგზობას არ შეჰხებოდნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობა ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

მე მოგახსენებთ, ბ-ნებო, იმ გზის შესახებ, რომელიც სადგ. სუფსიდან მიდის ქ. ოზურგეთში. არა თუ მარტო მიქელ-გაბრიელისათვის, მთელის მაზრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გზასა, რადგანაც გზით ქ. ფოთში მიმოსვლა გზარულებს ძალიან ეადვილებათ. და არსაიდგან-კი ქ. ფოთში გასაყიდად სოფლის ნაწარმოები იმდენი აქედის, რამდენიც გურიიდან: მხო-



ლოდ გურულებს მიაქვთ ფოთში დაფუძული სიმინდი, ვაშლი, მსხალი, მიწყავთ ქათმები და სხ. ფრინველი და სხვა. უზოგადობის გამო ცხლა ორმოცისა და ორმოცდაათის ვერსის მაგიერ, იმათ უნდა სამოცი და სამოცდაათი ვერსი გაიარონ და ისიც ზღვის პირად. გზისკი გაკეთება სულ ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზედ ექორება, დანარჩენი გზა გაკეთებულია.

წიგნთ-საცავ-სამკითხველოც ამ ქაშად დიდს გაქირვებაში. ვნახოთ, იქნება ახალმა გამგემ სული ჩაუდგას და საფუძვლიანს ნიადაგზედ დააყენოს.

აგერ ეს მეორე წელიწადია, შემნახველ-გამსესხებელ ბანკის დაარსების ნებართვა მოგვივიდა, მაგრამ უთაურობით ჯერ ვერ დაგვიარეს. საყურადღებოა ვიცოდეთ, ჩვენ ამორჩეული თავმჯდომარე რას ფიქრობს? იქნება არ იცის, რომ თუ პირველ იანვრამდის ბანკი არ დავიარსეთ, მეორე ისევ ხელ-მეორედ სათხოვარი გავგზინდება ნებართვის აღება. საქორაო დაარსების საქმეს ეხლავე შეუდგეთ, თორემ ერთი თვეც კიდევ და ბანკის ნებართვა გაუქმდება.

ეს ოცი დღეა პოლიცია გამწარებული დაეძებს სოფ. ხრიალეთში ორს ყაჩაღს. ერთია გვარად მოქია, იქნება თვე, რაც ყაჩაღად გავარდა; მეორე, როგორც ამბობენ, ციმბირიდან გამოპარული გ-მე უნდა იყოს. თუ გაიხსენებთ იმას, ამგვარს შემთხვევებში სოფლებს როგორ ეპყრობიან ხოლმე დარაჯები, რომ როგორმე ყაჩაღები დაიჭირონ, დამერწმუნებით მაშინ, რომ ხრიალელები სწორედ წამებულნი არიან. მტყუანს და მართალს გარჩევა არა აქვს. ჩემის აზრით-კი ადგილობრივს მთავრობას რომ დროზედ ყურადღება მიექცია ამ ვაჟ-ბატონებისთვის, დღეს არც თვითონ შეწუხდებოდა და არც სხვებს შეაწუხებდა...

Solo.

უცხოეთი

საზრანგეთი. პა-დე-კალეს დეპარტამენტში ხელახლად დაიწყო მოძრაობა მუშათა შორის მუშაობის ასაკვეთად. პარასკევს ღამით მუშების რამდენიმე ჯგუფი დადგინდნენ გზებზე, რომლებიც დურეში მიდიან ქვა-ნახშირის მალარობისაკენ და ამის გამო 2,000 კაცამდე მუშაობას თავი გაანება. საყოველთაოდ მუშაობის აკვეთის მსურველები აპირებენ მეტი ენერჯია გამოიჩინონ, რომ თავიანთს მიზანს მიაღწიონ.

— „New-York-Herald“-ის შაბათის ნომერში დასტამებულია ბერლინიდან ერთი დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ დაიწყო თუ არა საფრანგეთში საზღვო დემონსტრაცია, ოსმალეთის წინააღმდეგ, იტალია შეუზღინდა ბერლინის კაბინეტს, კონტრ-მანიფესტაცია მოგახდინოთ სამთავრობის სახელითა, მაგრამ გერმანიამ უარი განაცხადა. იტალიელთა გაზეთი „Tribun“ ამბობს, ეს ცნობა მტკნარი სიცრუეა.

ბერლინი „Kölnische Zei-

tung“-ის კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: ხმა გავრცელდა, რომ რუსეთი და საფრანგეთი შეთანხმდნენ ერთმანეთთან იმის შესახებ, რომ პორტას ძალა დაატანონ და შემოადებინონ სომხეთში რეფორმები თანახმად ბერლინის ტრაქტატისაო. პეტერბურგს, რომ საფრანგეთი და რუსეთი წინადადებას მისცემენ ამის შესახებ სხვა სახელმწიფოებს და სთხოვენ, რომ მხარი დაუჭირონ ამ საქმეში.

— ამას წინად გავრცელებული ხმა კონფერენციის შესახებ ცოტა ოდნად მართალი არ არის; კონფერენცია ბერლინის ტრაქტატს-კი არ გადაისინჯავს, არამედ ამის აღსრულების შესახებ იქონიებს მსჯელობას.

— ამ ქაშად გერმანიის თითქმის ყველა კუთხეში საშინელი ფულის საძვირეა და ამის გამო მუშაობის შემცირებაა. არც მთავრობა, არც ფაბრიკანტები უარს აღარ ამბობენ და გულახდლად აღიარებენ, რომ შემნახველ კასებში ამ ქაშად ძალიან ნაკლებად შეაქვთ ფული შესანახავად და პირიქით ბლომად გააქვთ. გამსესხებელი კასები და ლომბარდები დიდს საქმეებში არიან. ქარხნები ან მხოლოდ ნახევარი დღე მუშაობენ, ან ნახევარი მუშები სრულიად დათხოვნილი არიან იქიდან. მხოლოდ ბერლინი ეხლა 50—60 ათასი კაცი უსამუშაოდ არის დარჩენილი. ბიულთის ცირკულიარის თანახმად მომხდარ გამოკვლევით, ასეთივე უმწეო მდგომარეობაა ბავარიას, ბადენს და საქსონიაში. ამ გაქირვებულს მდგომარეობას გერმანიის აგრარები თავიანთთვის უპირობენ გამოყენებას. დღევანდელი ეკონომიური კრიზისი ამტკიცებს, ამბობენ ისინი, რომ არასოდეს არ შეიძლება მრეწველობა და ინდუსტრიალიზმი სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილების საფუძვლად იქმნას აღიარებული. არ შეიძლება, ამიტომ რომ სულ უბრალო და მცირე მიზეზიც კი ისეთს კრიზისს, ისეთს გაქირვებულს მდგომარეობას გამოიწვევს, რომ სახელმწიფო დიდს გაქირვებაში ჩავარდებოდა. იმათის აზრით, სულ სხვაა სოფლის მეურნეობა, რომელიც იმდენად მკვიდრია და მგარი, რომ ადვილად იმისი დაუძლეობა შეუძლებელია. აგრარები იმის დამტკიცებას სცდილობენ, ვითომც სახელმწიფო ინტერესი მოითხოვდეს ახალის საბაჟო გადასახადების წესის დაკანონებას, რომლის ძალითაც ეხლანდელის უმწეოდ დარჩენილის პროლეტარიატის კისრიდამ კიდევ რამდენიმე მილიონი უნდა ამოიღონ ყოველ წელი. ექვს გარეშეა, ამ თვალთმაქცურის არ გუმენტაციით აგრარები ფონს ვერ გავლენ. რეისტრები ახალ კანონპროექტის განხილვას 14 ნოემბერს დაიწყებს და მალე გამოიჩვენებს, რამდენად ეთანხმება საზოგადოებრივი განწყობილება რეისტრების უმრავლესობის განწყობილებას.

გერმანია ამ ქაშად სცდილობს როგორმე შეუწყუმბუქოს მდგომარეობა იმ მუშებს, რომლებიც კრიზისის გამო ქარხნების გარეშე დარჩნენ. სხვათა შორის ბავარიის მთავრობას განუძრახავს 44 მილიონი მოახმაროს სხვა და სხვა

საზოგადო საშუაოს და გაქირვებისაგან გამოისხნას მუშები. ასეთივე განძრახვა აქვთ ბერლინი და სხვებთან.

წერილი რედაქციის მიმართ.

„ცნობის ფურცლის“ შაბათის ნომერში ჩემი წერილი სავსებით არ არის დაბეჭდილი, თუმცა ბნმა ლასხიშვილი ამითქვა, ხელუხლებლად დავსტამბავთ. გამოტოვებულია ერთი ადგილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აი ეს ადგილი: „გამგეობას ხელში აქვს ორი წერილობითი საჩივარი, რომელიც გამოუგზავნეს მას კავკავიდან მოსწავლეთა მშობლებმა და ნათესავებმა წარსულს ზაფხულს და სადაც იგინი სჩივიან, უმცროსი მასწავლებელი მეტად უდიდრად ეპყრობა ჩვენს შვილებსაო და ცემატყებით ილაჯს უწყვეტსო!..“

რად იკადრა რედაქციამ ამოეშალა ჩემი წერილიდან ეს ადგილი, ეს ფაქტი იმტომ, რომ იგი სავსებით ასაბუთებს ჩემს ნათქვამს შესახებ კავკავის სკოლის დაქვეითების აღზრდის მხრივ, რასაც ქორი დაარქვა რედაქციამ, და სავსებით ამტყუნებს კვირის ნომრის სამასხარო სურათსა. მიზანი ამ ყოვლად სათაკლო ხერხისა იყო ჩემი გაშავება კვირის არჩევანზე; მაგრამ ვერც მიზანს მოეწივნენ და უდიდის ხერხითაც თავი შეიკრებინეს.

იაკობ გოგებაშვილი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

5 ნოემბერი.

პეტერბურგი 5 ნოემბერს დაბრუნდნენ ცარსკოე სელოში ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის ქალეებით და ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე. 5 ნოემბერს დაბრუნდნენ პეტერბურგში სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები.

მოსკოვი. 5 ნოემბერს საერო განათლების მინისტრმა ინახულა ნერვებით ავადმყოფთა კლინიკა და ფაკულტეტის თერაპევტიული და ქირურგიული კლინიკები. მინისტრმა დაიარა დარბაზები, შევიდა უიმედო ავადმყოფების განყოფილებაში, იყო აუდიტორიაში, სადაც აჩვენებენ ორს ავადმყოფს, რომელთაც კუჭქონდათ, ოპერაციის შემდეგ; მინისტრმა დათვალა აგრეთვე ეკლესია უნივერსიტეტისა და შემდეგ რუმინაცევის მუზეი, სადაც უჩვენეს გეგმა მუზეის ახალი შენობებისა. მუზეიში მინისტრმა დაათვალა ნუმისმატიური კაბინეტი და დოლოგორუკოვის დარბაზი და გამოიკითხა, რა წესით აძლევენ მსურველებს წიგნებს საკითხავად.

სავაქრო სახლის „კალიშის“ რეშუმებულმა, ვესსელინგმა, გაჟღერა 300,000 მანათამდე სავაქრო სახლის ფული და დაიშალა. საიდუმლო პოლიციამ ვესსელინგი შეიპყრო; ვესსელინგი საზღვარ გარეთ

აპირებდა თურმე გაპარვას. ფული ვესსელინგს კლუბებში თამაშობის გამო შემოაპარჯნია.

5 ნოემბერს სატახტო ქალაქის მიმრიგებელ მოსამართლის, სმირნოვის, კამერაში ყოფნის დროს, მოსამართლის მაგიდასთან მივიდა ერთი გლეხი და მკვებედ იკითხა, ჩემი საქმე როდის-ღა გაირჩევაო. მოსამართლემ უპასუხა: „თავის დროზე დავიძახებნო“; ამ დროს გლეხმა ამოიღო ქვა და მოსამართლეს პირდაპირ თავში ესროლა. მოსამართლეს სისხლს წაჰსქდა, საზოგადოებამ დამნაშავე მაშინვე შეიპყრო; გამოცხადდნენ პოლიცია, მკურნალი და ბრალმდებლის ამხანაგი. დამნაშავე ორმოცის წლისა აღმოჩნდა, გვარად კისელევი; ბოროტ-მოქმედების მიზეზი შურისძიება უნდა იყოს იმის გამო, რომ მოსამართლეს კისელევისათვის წერილი ქურდობისა გამო ოთხის თვით დაპატიმრება მიუსაჯნია. ქრილობა მსუბუქი აღმოჩნდა.

სარკოვი. მთა-მადნეულობის მრეწველების დღევანდელს სხდომაზე დადგინეს: იშუამდგომლონ შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების წინაშე, რომ გამოგზავნილ იყვნენ წარმომადგენლები მონაწილეობის მისაღებად მთა-მადნის მუშათა დაზღვევის საქმის მოწყობაში, რათა შეთანხმებული იყოს კრებისაგან შედგენილი პროექტი სამინისტროების სურვილთან.

ლონდონი. ოფიციალურის ცნობებით ინგლისელებისთვის ბროქს-ბრუიტთან მომხდარს ბრძოლაში 9 კაცი მოუკლავთ, 10 დაუჭრიათ და 64 ტყვედ წაუყვანიათ. დატყვევებულები ერთის აფიცურის მეტი ყველანი განთავისუფლებულნი არიან.

2 ნოემბერი

ბერლინი. ტრანსვალის ელჩმა ლეილმა აცნობა ერთის გაზეთის თანამშრომელს, რომ ჩემს ბერლინში ყოფნას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვსო. ომმა შეიძლება კიდევ მრავალ წელს გასტანოს, რადგანაც საქმე ბერების თავისუფლებას შეეხება. ბურები ეხლა უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე წინად, რადგანაც იმათ წრეს განშორდნენ ისინი, ვისი იმედოვნაკლებდა აქონდათ და იმათი ჯარიც უკვდაა ეხლა მოწყობილი. ზავის ჩამოგდებაზედ ლაპარაკი მხოლოდ ინგლისმა უნდა დაიწყოს, ვინაიდან ბურები მტკიცედ ადგანან უავიანთ სურვილს დამოუკიდებლობის შესახებ. ევროპისაგან ბურები არავითარ შევლას არ მოელოიანო.

პარიზი. პალატა. ესტურნელმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ჩინეთის სესხი იმ—ჯამით იქმნას განსაღვრული, რომელსაც მთავრობა თხოულობს, სახელდობრ—265 მილიონი, რაც კომისიამ 210 მილიონამდე შეამცირა, მომხსენებელი გუბნარი კომისიის წინადადებას იკავდა. „მაშინ, როდესაც საქმე საფინანსო საზოგადოებათა და მისიათა დაჯილდოებას შეეხება, საფრანგეთმა ჩინეთის ადგილი არ უნდა დაიჭიროსო“. ბერტელო ესტურნელის აზრს მიემხრო; ასევე მოიქცა რიბო. იგი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთი ტრადიციონულ პოლიტიკას უნდა ადგეს აღმოსავლეთში. კამათს ხვალ განაგრძობენ.

ვაშინგტონი. სტატს-სეკრეტარმა გეიმ და ინგლისის ელჩმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ნიკარაგუას არხის შესახებ.

ბუდაპეშტი. მინისტრ-პრეზიდენტმა სელლმა გრძელი სიტყვი წარმოსთქვა სამთავრობის მტერთა აზრის წინააღმდეგ. პრეზიდენტი

ხანგრძლივ შეჩერდა იმაზედ, რა მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას შირს. იგი ამტკიცებდა, რომ ამ კავშირმა ყველა სხვა კავშირზედ მეტად უზრუნველ უყო სამივე სახელმწიფოს ძლიერება და უშიშროებაო. „ამას გარდა,—განაგრძო ორატორმა,—კავშირს ისეთი ხასიათი აქვს, რომ შეუძლებელს არა ჰყოფს სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებას. თუმცა ინგლისი არ მიმხრობია ამ კავშირს და არც მიემხრობა იქ გაბატონებულ ეტრადიციებისა გამო, მაგრამ ლტოლილებმა კი აქვს იმისაკენ. კავშირი შესაძლებელს ჰყოფს, რამდენადც საქმე შეეხება ინტერესებს, თომელთაც სამთა კავშირი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ არ დაეძებს, რუსეთთან ერთად მოქმედებას საერთა-შორისო მშვიდობიანობის დასაცვლად ბოლკანეთის სახელმწიფოთა განვითარების ნიადაგზედ“. მარჯვნივ მოწონების ნიშნები).

პაზანი. 5 ნოემბერს უნივერსიტეტი დღესასწაულობს 97-ის წლის არსებობას.

ბაქო. 4 ნოემბერს მეექვსე სახაზინო მიწის ნაქერზე ბიზი-ფიზიოთში, რომელიც ჯარით აქვს აღებული ფუთზე ხუთ კაპეკად. ბაქოელ ნავთის მწარმოებელს საზოგადოებას, ანოხეთკა დიდმა ნავთის შადრევანმა, რომელიც დღე-ღამეში მილიონ ფუთამდე ნავთს იძლევა. მთელი ეს ნაქერი მიწისა და მახლობლად მდებარე ადგილები ნავთითაა სავსე. რადგანაც ვიზინათ ცეცხლის გაჩენისა, მუშაობა შეასერეს. ახალ შადრევნიდამ ამოსულს ნავთს ნობელის აუზებში უყრიან თავს.

კოპენაგენი. მეფემ ნაშუადღევს ორ საათზე ამალიემბერგის სასახლეში მიიღო რუსეთის სევერთა დრაგუნის მე-45-ე რაზმის დეპუტაცია. დეპუტაციის შეადგენენ რაზმის უფროსი, პოლკოვნი ბიტნი-შლიახტო, როტმისტრი ბერინგი და ვანბისტრი ტერეშენკო. საღამოს შეიღეს საათზე მეფესთან საგანგებო სდილი გაიმართა.

ვიანა. 4 ნოემბერს გაიხსნა გაიხსნა საშუალო სასოფლო-სამეურნეო და სატექნიკო სასწავლებელი. სასწავლებელი ხაზინისა და ერობის ხარჯით იქმნა დაარსებული.

ბერლინი. იმპერატორი გემების ამშენებელ სატექნიკო საზოგადოების უმთავრეს კრებაზე იყო და თაობრიის დროს სიტყვა წარმოსთქვა საზღვრო გემებზე იარაღის დალაგების საქმის განვითარების შესახებ. დაასახელა რა ისტორიული მაგალითები, იმპერატორმა აღნიშნა სხვა-და-სხვაობა თავდასასხმელად და თავდასაცველის ტაქტიკისა და ყურადღება მიაქცია იმას, რომ გერმანიის გემთა იხალი სისტემა უფრო შეფერება გერმანიის თავდასახმელ ტაქტიკის განსაკუთრებულს თვისებებს. გერმანიის ფლოტი იარაღ ყოველთვის უპირატესობას მისცემენ ჯავშინის წინაშე.

აინა. სალონიკიდან მოსულის ცნობებით, აივალის გუბერნატორი კულანდებურად უარს ამბობს ახალის საბერძნეთ-ოსმალეთის საკონსულო კონვენციის ასრულებაზე; ეს კონვენცია დიდი სახელმწიფოების ელჩთა სამედიატორო სამართლის ძალით აქამდე უკვე უნდა სრულდებოდეს; გუბერნატორი სახლში უვარდება ქრისტიანებს და თავის ხელქვეითებს ბრძანებას აძლევს იმათ დატუსაღებას შესახებ 1500 კაცამდე საბერძნეთის ქვეშევრდომის დამკველი არა ჰყავთ, რადგანაც საბერძნეთის კონსულებმა ვერ დაიყოლიეს საქირო ზომების მიღებაზე.

ტანანარიკა. იმ ექსპედიციამ, რომელიც კუნძულის ამოხეობით მოკლეს ნაწილში იქნა გაგზავნილი. მდინარე მანდრატეს დასავლეთის მხარეს, მემბოზენი ზღვის ნაპირისაკენ განდევნა. უფროსმა წინამძღოლმა მორჩილება გამოაცხადა. ფრანგებს კუნძულზე მოუკლეს კაპიტანი და პორუიკი; ექსპედიციის წინამძღოლი აფიცრო დაქრილია.

სოფია. საერო კრებამ მესამედ წაიკითხეს შემდეგ მიიღო ადრესი, რომელშიაც სიამოვნება გამოთქმული მის გამო, რომ მთავრობა სცდილობს კეთილგანწყობილება იქონიოს დიდ სახელმწიფოებთან და მეზობელს ერებთან, და აგრეთვე რუიეთთან კავშირის გამტკიცების გამო; ადრესში ნათქვამია შემდეგ, რომ საერო კრება მთავრობას მხარს მისცემს. კამათის დამთავრებამდე გარეშე საქმეთა მინისტრი დანევი ამტკიცებდა, ბოლგარიას სრულიად ნორმალური განწყობილება აქვს უცხო ქვეყნებთან და შარშანდელა განხეთქილება რუმინიასთან ამ ჟამად სრულიად მოწყობილია. ბოლგარიის მთავრობა მუდამ კანონიერად იქცეოდა ოსმალეთის შესახებ, თუმცა ოსმალეთი ბოლგარულ მოგზაურებს ავიწროებს და მოუხედავად ოსმალეთის საზღვრებზე გამოწვეულის ინციდენტებისა. მხოლოდ მაკედონიას შეეძლო მანვე გაველენა ექონია ოსმალეთ-ბოლგარიის ურთიერთობაზე, რადგანაც მაკედონელების გაქირებული მდგომარეობა ბოლგარიაში თანაგრძობას იწვევს დაჩაგრული ერისადმის. ამის გამო ბოლგარიის მთავრობა თავის ვალად სთვლის მიაქციოს ევროპის სახელმწიფოების ყურადღება ბერლინის ტრაქტატის მე-23-ე მუხლის ასრულების საქმეებზე. მთავრობის გარეშე პოლიტიკა სრულის კანონიერებით არის გამსჭვალული ყველა სახელმწიფოების შესახებ. ნდობა და გულ-წრფელობა რუსეთის მიმართ საფუძველია ბოლგარიის მთავრობის პოლიტიკისა, რომელშიც ამ სახელმწიფოსათვის არაფერი დაფარული არ არის. ბიუჯეტში სრულის თანასწორობის აღდგენით მთავრობა მტკიცე საფუძველს მისცემს სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობას. — სიტყვას საერო კრების უმრავლესობა თანაგრძობით მიეგება.

კოკინეზაგანი. საგანგებო სადღილო დანიის მეფე ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ორკესტრმა შეასრულა რუსეთის საერი ჰიმნი, რომელიც ფესზე დგომით მოისმინეს. რუსეთის ელჩმა ბენკენდროფმა წარმოსთქვა სადღეგრძელო დანიის მეფისა, ვითარცა სვედთა რაზმის შეფისა. უკანასკნელი სადღეგრძელო — რუსეთის ქვრივ იმპერატრიცის მარია თეოდორეს ასულისა — დანიის მეფემ ორკესტრმა რუსეთის ჰიმნი შეასრულა.

სოველ-დღიური საჭირო ცნობები:
კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდან 1901 წლისა (ფრანხილებში ჩამოყალიბებული ტვილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრანხილებს გარეთ — პეტერბურგის საათით)
მატარებელი მიდის **ტვილისიდან ბათუმში:**
ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს.

24 წ. (8 ს. 22 წ.). ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტვილისიდან ბორჯომში:
სამგზავრო მატარებელი № 67 დილის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩავა დილის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტვილისიდან ბაქოში:
სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარსკეობით, დილის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩავა დილის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩავა დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩავა დილის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტვილისიდან შარსში:
ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), შარსში ჩავა დილის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმშიდან ტვილისში:
ფოსტის მატარებელი № 4 დამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტვილისში ჩავა დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტვილისში ჩავა დილის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოშიდან ტვილისში:
სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტვილისში ჩავა დილის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 დამის 12 ს. 2 (1 ს.) ტვილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტვილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან ტვილისში:
სამგზავრო მატარებელი № 66 დამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტვილისში ჩავა დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

შარსიდან ტვილისში:
ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტვილისში ჩავა დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლის ახალი ვაჭრის-რიგებით 15 ოქტომბრიდან **სამგზავრო, სავოსტო და საბარგო-სამგზავრო მატარებლები** რკინის გზის სადგურებს შუა **შავდუბა პლატფორმაზე** ჩაჩადებიან **მგზავრობის ჩასახდომად** და **გადმოსახდომად:** ბათუმსა და ჩაქვას შუა მე-91 და მე-93 ვერსზე, **ზელენი მისი** და **მანინჯაურში** №№ მატარებლებისა 3, 4, 6, 104, 103, 105 106, 99 და 100; **ჩაქვასა და მოგულეთის შუა** მე-84 ვერსზე, **ბუქნარში**, №№ მატარებლებისა 103, 104, 105 და 106; **სამბრადიანსა და კოპიტანის შუა** მე-98 ვერსზე, **ბუზში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 96, 99 და 100; **ქანასა და მცხეთის შუა**, მე-264 ვერსზე, **ვიომავში**, №№ მატარებლებისა 3, 4, 66, 67; **მცხეთისა და აშაბას შუა**, მე-278 ვერსზე, **ზედაზენი**, №№ მატარებლებისა 3, 4, 66, 67; **აშაბას და ახალ-სენაის შუა**, მე-40 ვერსზე, **კოსიში** და **სამბრადიანსა და აშაბას შუა**, მე-57 ვერსზე, **ცხენის ორენი**, №№ მატარებლებისა 93, 94, 95, 96, 97 და 98; **გელათისა და გომილის შუა**, მე-2: ვერსზე, **კუჩხავში**, **ქუთაისისა და გელათის შუა**, მე-6 ვერსზე, **მოწამეთი** და **საწიროსა და ტვილისის შუა**, მე-42 ვერსზე, **ახალსოფელში**, №№ მატარებლებისა 80 და 81; **მიხაილვისა და სუმათოვს შუა**, მე-9 ვერსზე, **მვიხეთი** და **სუმათოვსა და ბორჯომის შუა**, მე-15 ვერსზე, **კარბანეთში**, №№ მატარებლებისა 70, 71, 72,

73, 66 და 67; **ბოსლევსა და რკინის შუა**, მე-18 ვერსზე, **გაგლავში** და **მინათუხასა და ლაკვიტის შუა**, მე 33 ვერსზე, **მინათუხაში**, №№ მატარებლებისა 76, 77, 78 და 79.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

როიხლები
ზ ი ა ნ ი ნ ო

ფის-გარმონები, სკრიპები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შექმნა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გარდახდით.

პ რ ე ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება,
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მიჩინაინისა
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИЧИНАИНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—5.—6)

ზ ე ლ ა გ ხ ა დ ვ ა ლ ი კ ო მ ი ტ ა შ ი

ტვილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულა ბანკისა, წესდების მე-91-ის ძალით, აცხადებს დასახელებულ ბანკის რწმუნებულთა საყურადღებოდ, რომ 10 დეკემბერს ამა 1901 წლისას, დილის 10 საათზე, ტვილისის, ბანკის სადგომში, **დანიშნულია თავად აზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც მოსხდება** განსახილველად **შემდეგი საკითხები:**

1, ტვილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულა ბანკის გირავნობის ფურცლების გამოცემა იმ უფლებით, როგორც საკრედიტო საზოგადოებებს აქვთ.

2, ტვილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულა ბანკის გირავნობის ფურცლების მიღება პირვანდელ ფასად სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში დაგირავებულ მამულების გაბათილებისა და დასახელებულ ბანკში გადატანის დროს.

3, მოხსენება ფინანსთა მინისტრის იმის შესახებ, რომ განმარტებულ იქნას აზრი ტვილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულა ბანკის წესდების მე-104 წესისა.

შენიშვნა. რწმუნებულთა კრება შესდგება, რომელიც რწმუნებულთა უნდა გამოცხადდეს.
(3—5.—2)

ტვილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს

ძალგებზედ შემოდებულ გადასახადის მოკრეფის წესებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ.

1) გადასახადი წესდება ტვილისში ყველა ძალგებზე, ჯიშის განურჩევლად, გარდა: ა) იმ ძალგებისა, რომელიც ეკუთვნის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთა და საელჩოების და მისიების სხვა წევრთ, აგრეთვე უმთავრეს კონსულებს, კონსულებს, ვიცე-კონსულებს და საელჩო აგენტებს, თუ ესენი იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან, რომელმაც დანიშნა, თუ ამ სახელმწიფოსთან რუსეთს საელჩო კონვენციას აქვს დადებული და თუ ის სახელმწიფოც არ ახდევინებს რუსეთის წარმომადგენელთა და კონსულებს ძალგებზე გადასახადს; ბ) იმ ძალგებისა, რომელიც პატრონთ ეზოებში ჰყავთ ჯაჭვზე დაბმული; გ) იმ ძალგებისა, რომელიც ეკუთვნის ტვილისში დროებით ჩამოსულთ, თუ ესენი ერთ თვეზე მეტს არ დაჰყოფენ ქალაქში; და დ) იმ ძალგებისა, რომელიც ეკუთვნის სამხედრო სანადირო რაზმებს, აგრეთვე რომელიც სამხედრო პირთ და დაწესებულებათ ჰყავთ ნადირობისათვის, იმ პირობით კი, რომ ეს ძალგები ჩამოთვლილ იქნებოდნენ სათანადო ჯარიმის განყოფილებების ბრძანებაში.

2) გადასახადი იქნება 1 მანეთი თითო ძალგზე წელიწადში.

3) ძალგის პატრონი გარდასახადს იხდის ყოველ წლის დასაწყისში; მარტის თვის შემდეგ კი გადახდელზე ჯარიმა არსდება.

4) ყოველს გადახდელს ქალაქის გამგეობიდან ეძლევა ნიშანი რომელზედაც აღნიშნული იქნება შემოტანილ გადასახადის კვიტანციის ნომერი. განსაკუთრებული ნიშნები მიეცემა აგრეთვე იმ ძალგებისთვის რომელიც ეკუთვნიან 1-ლ მუხლის ა) და დ) პუნქტებში აღნიშნულ პირთ და სამხედრო დაწესებულებათ; მათ გადახდებთ მხოლოდ ნიშნების ღირებულობა. ნიშნები ძალგს საყვლობაზე უნდა ჩამოჰკიდონ გასუქების ან გასყიდვის დროს თან უნდა გააყოლონ.

5) თუ ნიშანი დაკარგა, ქალაქის გამგეობიდან გაიცემა ახალი ნიშანი, რომლის ფასიც პატრონმა უნდა გადაიხადოს.

6) თუ ვინმე წლის განმავლობაში შეიძინა ძალგი, 14 დღის ვადაზე უნდა გამოუცხადოს ეს გამგეობას და სრულად ან ნახევრად უნდა გადაიხადოს ხვედრი გადასახადი იმის მიხედვით, თუ წლის რომელ ნახევარში შეიძინა ძალგი.

7) ვინც გადასახადს დროზე არ შეიტანს, მას გარდა იმისა, რომ გარდასახადი გარდახდება, ჯარიმაც მიესაჯება; ჯარიმის რაოდენობა უდრის დარჩენილ გადასახადის 10⁰/₆-ს.

8) გადასახადის შემოტანის ვადა და ადგილი, სადაც ის უნდა შეიტანონ პატრონებმა, ქალაქის გამგეობამ საყოველთაოდ უნდა გამოაცხადოს გადასახადის შემოტანის ვადის ერთი თვით წინ.

9) ქუჩებსა და მოედნებზე მაწინააღმდეგე ძალგებს, თუ მათ ნიშნები არ ექნება, ქალაქის განსაკუთრებული მოიჯარადრე დაიჭვრს. დაჭერილ ძალგის პატრონმა 5 დღის განმავლობაში უნდა შეიტანოს ხვედრი გადასახადი, ან უნდა დაამტკიცოს, რომ მან უკვე გადაიხადა გადასახადი წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერილი ძალგები დაბოცილ იქნებოდნენ. ამის თანავე დაბოცილ ძალგების პატრონთ გადახდებთ როგორც დაწესებული გადასახადი, ისე ჯარიმა ძალგის შენახვისათვის, დღეში 15 კაპ.

10) იმ ძალგების რაოდენობის ცნობაში მოსაყვანად, რომელიც გადასახადი დაეძგება, ქალაქის გამგეობა, თავის აგენტების შემწევობით ადგენს ყოველ წელს არა უგვიანეს 1-ლ იანვრისა განსაკუთრებულ სიებს, ხოლო არა უგვიანეს 1-ლ თებერვლისა უგზავნის ძალგების პატრონთ გადასახადის ფურცლებს.

აწესებს-რა ამ გადასახადს, ქალაქის გამგეობა აცნობებს ძალგების პატრონთ, რომ 1901 წლის გადასახადი მათ უთუოდ 10 ნოემბრიდან უნდა გადაიხადონ; იმ დღიდან-კი ჯარიმა გადახდებათ, თანახმად წესდების მე-9 პარაგრაფისა. გადასახადი წარდგენილ უნდა იქნას საეკონომიკის კანტორებში, რომელიც იმყოფებიან: 1-ლ და მე-2 საბოლიციო ნაწილებისთვის—ვერის მოედანზე, მე-3 და მე-4 ნაწილებისთვის—სალდათის ბაზარზე, მე-5 და მე-6 ნაწილებისთვის—თათრის მოედანზე, მე-7 ნაწილისთვის—კახეთის მოედანზე, მე-8 ნაწილისთვის—დესიმონოვის მოედანზე, მე-9 და მე-10 ნაწილისთვის—ავჭალის მოედანზე, წყლის მილის ბუდეკაში, ნაძალადევისათვის კი ადგილობრივ აგენტს ბუდეკაში, წყლის მილის ქუჩაზე, რუქის სახლში; ძალგების პატრონთ, რომელიც გადასახადს შეიტანენ, აგენტები კვიტანციის მისცემენ და ამ წლისთვის დაწესებულს ნიშნებს. ამასთანავე გამგეობისთვის გადასახადის შემოტანით თვალ-ყური ადევნონ, რომ კვიტანციის უთუოდ აღნიშნული იყოს ნიშნის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში კვიტანციის ძალა აღარ ექნება.